



საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი



ცესკო
საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაცია

საგრანტო კონკურსის თემატიკა:
ამომრჩეველთა განათლება საარჩევნო და სამოქალაქო კულტურის
განვითარებისათვის

პროექტის დასახელება:
საარჩევნო განათლება და სამოქალაქო კულტურა დემოკრატიული ქვეყნის
განვითარებისთვის

განმახორციელებელი ორგანიზაცია:
რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი “თანაზიარი”

პროექტის განხორციელების პერიოდი:
25 სექტემბერი - 25 ნოემბერი, 2019 წელი

პროექტის მიზანი:

ამომრჩეველთათვის საარჩევნო საინფორმაციო/სასწავლო პროგრამების მიწოდება და მათი ინფორმირება არჩევნების გზით ქვეყნის მართვის პროცესში მათი მონაწილეობის მნიშვნელობაზე.

პროექტის ამოცანები:

1. ამომრჩეველთა ინფორმირება შემდეგ საკითხებზე:

- საქართველოს არჩევნების ისტორია და თანამედროვეობა (სახელმწიფო მოწყობა და არჩევითი ორგანოების ფორმირების წესი),
 - აქტიური მოქალაქეობა და არჩევნების გზით ქვეყნის მართვის პროცესში მონაწილეობის მნიშვნელობა,
 - საარჩევნო უფლებები და რეალიზება,
 - გენდერული თანასწორობა არჩევნებში,
 - ინკლუზიური არჩევნები (მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობა საარჩევნო პროცესში),
 - არჩევნების უსაფრთხოება,
 - ჩართული მხარეების როლი დემოკრატიული არჩევნების უზრუნველსაყოფად,
 - არჩევნების პოპულარიზაცია
 - - სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდის უზრუნველსაყოფა
- ### 2. ამომრჩეველთა ინფორმირება არჩევნების მნიშვნელობაზე, საარჩევნო პროცესებზე და პროცედურებზე

პროექტის სამიზნე არეალი:

სენაკის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციული ერთეული (ქ. სენაკის, ახალსოფლის, ეკის, ზანის, ზემო ჭალადიდის, თეკლათის, ლეძამამაეს, მენჯის, ნოსირის, ნოქალაქევის, უშაფთის, ფოცხოს, ძველი სენაკის, ხორშის და გეჯეთის ადმინისტრაციული ერთეულები - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიული დაყოფის მიხედვით)

აბაშის მუნიციპალიტეტის 16 ადმინისტრაციული ერთეული (ქ. აბაშის, ნორიოს, ქოლობანის, ტყვირის, სეფიეთის, ძველი აბაშის, წყემის სუჯინას, კეთილარის, გეზათის, ნაესაკოვოს, ონტოფოს, ზანათის, სამიქაოს, მარათის და პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულები - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიული დაყოფის მიხედვით)

პროექტის სამიზნე ჯგუფი:

31 საინფორმაციო შეხვედრა:

524 დამსწრე

- 326 ქალი

- 198 კაცი

მათ შორის 3 შშმ პირი.

4 ტრენინგი:


71 მონაწილე

- 43 ქალი

- 28 კაცი

სულ ბენეფიციართა

რაოდენობა - 595



საინფორმაციო შეხვედრები:



ტრენინგები:



პროექტის ეფექტი:

პროექტის განხორციელების შედეგად მოხდა 595 პირდაპირი ბენეფიციარის (ტრენინგის და შეხვედრის მონაწილეები), ასევე 505 არაპირდაპირი ბენეფიციარის ინფორმირება (1100 ცალი ბუკლეტი) სულ 1100 ინფორმირებული ბენეფიციარი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ინფორმირებული მომავლის შექმნაში და დემოკრატიის განვითარებაში.

- ჩატარდა 31 ორსაათიანი საინფორმაციო შეხვედრა პროექტის განმახორციელებელი გუნდის მიერ აბაშის მუნიციპალიტეტის 16 ადმინისტრაციულ და სენაკის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში. პროექტი განახორციელა ფასილიტატორთა 3 ჯგუფმა, თითო ჯგუფი 2 ფასილიტატორის შემადგენლობით. ორმა ჯგუფმა ჩატარა 10 – 10 შეხვედრა, ხოლო ერთმა - 11 შეხვედრა.

მომზადდა და გამოიცა 1100 ცალი ბუკლეტი, სადაც მოცემული იყო ინფორმაცია შემდეგ თემებზე: აქტიური მოქალაქეობა და არჩევნების გზით ქვეყნის მართვის პროცესში მონაწილეობის მნიშვნელობა, საარჩევნო უფლებები და რეალიზება, გენდერული თანასწორობა არჩევნებში, ინკლუზიური არჩევნები, არჩევნების პოპულარიზაციისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობი, არჩევნების სახეები და საარჩევნო დღის პროცედურები და პროცესები. ბუკლეტი დარიგდა საინფორმაციო შეხვედრებზე, ტრენინგებზე, სენაკისა და აბაშის მუნიციპალიტეტებში ხალხმრავალ ადგილებში.

- ჩატარდა ქ.სენაკში 2 და ქ. აბაშაში 2 ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიების სააქტო დარბაზებში (ტრენინგზე გამოყენებული იქნა საარჩევნო დღისთვის საჭირო ინვენტარი). ტრენინგის თემა: საქართველოს არჩევნების ისტორია და თანამედროვეობა (სახელმწიფო მოწყობა და არჩევითი ორგანოების ფორმირების წესი), აქტიური მოქალაქეობა და არჩევნების გზით ქვეყნის მართვის პროცესში მონაწილეობის მნიშვნელობა, საარჩევნო უფლებები და რეალიზება, გენდერული თანასწორობა არჩევნებში, ინკლუზიური არჩევნები (მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობა საარჩევნო პროცესში), არჩევნების უსაფრთხოება, ჩართული მხარეების როლი დემოკრატიული არჩევნების უზრუნველსაყოფად, არჩევნების პოპულარიზაციისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობი. ერთი ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა განისაზღვრა 15 ადამიანთი. ჯამში 4 ტრენინგს დაესწრო 71 ადამიანი. ტრენინგის დამსწრეები: შერეული ჯგუფი - შშმ პირები, იგპ-ები და ზოგადად შერეული ასაკის (18 და ზემოთ) ამომრჩევლები.

პროექტის პირდაპირი ბენეფიციარები: აბაშისა და სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები ამომრჩევლები. საშუალო რაოდენობა 1100 ადამიანი - ტრენინგისა და საინფორმაციო შეხვედრის მონაწილეები და ასევე ბუკლეტის მიმღებები.

გამოწვევები და გადაჭრის გზები :

შემაფერხებელ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს სამიზნე მუნიციპალიტეტების მოსახლეობის უნდობლობა, მიუხედავად იმისა, რომ ფასილიტატორები შეხვედრის დაწყებამდე აანონსებდნენ და ასევე შეხვედრის დასაწყისში აღნიშნავდნენ პოლიტიკურ მიუკერძოებლობას, დამსწრეების მხრიდან მაინც იყო უნდობლობა მცირე დოზით, რაც გამოხატებოდა დამსწრეთა სიაზე ხელის არ მოწერით და ფოტოების გადაღებაზე უარის თქმით.

თუმცა ზემოთ აღნიშნულს მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ მოუხდენია პროექტის განხორციელებაზე.

პროექტის განხორციელებისას მიღებული დახმარებები:

ქ.სენაკში და ქ. აბაშაში ჩატარდა ორი ტრენინგი საოლქო სააჩვენო კომისიების სააქტო დარბაზებში, სადაც გამოყენებული იქნა საარჩევნო დღისთვის საჭირო ინვენტარი. ასევე 1 დღე (5 საათი) დაეთმო ცესკოს ტრენერს.

მადლობთ ყურადღებისთვის!

